



საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
განათლების ხარისხის განვითარების
ეროვნული ცენტრის დირექტორის
ბრძანება



MES 1 20 0000697822



17/08/2020

**ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯისთვის „სამრეწველო სარკინიგზო ტრანსპორტის
ლოკომოტივის მემანქანის“ პროფესიული გადამზადების პროგრამის
დადასტურებაზე უარის თქმის შესახებ**

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში-ცენტრი) პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების კოორდინატორის 2020 წლის 12 აგვისტოს №685 026 სამსახურებრივი ბარათისა და საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების“ მე-12 მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების, მე-8 პუნქტის, მე-16 მუხლის მე-5 პუნქტის, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 26 მარტის №59/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის შემუშავებისა და დამტკიცების წესის“ მე-2 მუხლის მეორე პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. უარი ეთქვას ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯს (ს/კ:402019917) მის მიერ წარმოდგენილ „სამრეწველო სარკინიგზო ტრანსპორტის ლოკომოტივის მემანქანის“ პროფესიული გადამზადების პროგრამის დადასტურებაზე.

2. დაევალოს ცენტრის საქმისწარმოების სამმართველოს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
კახაბერ ერაძე

